საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია
PRIVATE COLLEGES ASSOCIATION OF GEORGIA

№16 2 ივლისი, 2020 წელი

საქართველოს ბიზნესომბუდსმენს
ბატონ მიხეილ დაუშვილს

ბატონო მიხეილ,

უპირველეს ყოვლისა, მადლობას გიხდით 2020 წლის 23 ივნისს შეხვედრის ორგანიზებისთვის. ამ შეხვედრაზე თქვენ გამოხატეთ მზაობა თანამშრომლობისათვის და დასმული პრობლემების გადაჭრის გზების ძიებისათვის. გვსურს კიდევ ერთხელ განვმარტოთ ის პრობლემა, რაც ხელს უშლის კერძო კოლეჯების, როგორც ბიზნესსუბიექტების საქმიანობას და აფერხებს მათ განვითარებას, კერძოდ:

საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია აერთიანებს პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ 42 საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და შეადგენს კერძო პროვაიდერების აბსოლუტურ უმრავლესობას. დღეის მდგომარეობით ამ დაწესებულებებში სწავლობს 4 000-მდე პროფესიული სტუდენტი. ეს ის კონტინგენტია, რომლებმაც უნდა დააკმაყოფილოს შრომის შრომის ბაზრის მოთხოვნები, კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალით. თუმცა, შექმნილი კრიზისული მდგომარეობის გამო, მათი უმეტესობა გადახდისუუნარო აღმოჩნდა. სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა არ ითვალისწინებს ამ პრობლემის ხელშეწყობას. თქვენი მოთხოვნისამებრ დანართის სახით წარმოგიდგენთ კოლეჯებისა და პროგრამების მიხედვით, თანხის იმ ოდენობას, რომლის გადახდა ვერ უზრუნველყო პროფესიულმა სტუდენტებმა. აღნიშნული ფინანსური რესურსის მიუღებლობა ან დაყოვნება აფერხებს დაწესებულების ფუნქციონირებას და ხელს უშლის მის განვითარებას. *აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული სესხების ან სხვა პროგრამების განხორციელება, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება დაწესებულებებისა და პროფესიული სტუდენტებისათვის;*

ვიმედოვნებთ, რომ თქვენი თანადგომით შევძლებთ პროფესიული განათლების წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებას, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

დანართი ტექსტის მიხედვით ექსელის ფაილის ელ. ვერსია

ია ერაძე

ასოციაციის პრეზიდენტი

Ia Eradze

Digitally signed by Ia Eradze
DN: cn=Ia Eradze, serialNumber=60001051386, o=Citizen, c=GE
Date: 2020.07.02 12:22:50 +04'00'

მისამართი: თბილისი, 0192, თორნიკე ერისთავის 2
ტელეფონი/Phone: (+995 57) 58 00 44

Address: 2 T. Eristavi Str., 0192, Tbilisi, Georgia
E-mail: Pcageorgia@yahoo.com
www. ccol.ge